საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/107

ქ. ბათუმი

03 -------- ივლისი, 2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის,,,2018 წლის ოქტომბერში აკრედიტებულ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის №06-01/20 დადგენილების, ,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის განისაზღვროს შიდა მობილობის **შემდეგი ვადები:**

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2019 წლის 29, 30, 31 ივლისი, 1 აგვისტოს ჩათვლით;
ბ) კრედიტების აღიარება - 2019 წლის 5 აგვისტო;
გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებების მიღება - 2019 წლის 5, 6, 7 აგვისტოს ჩათვლით;
დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2019 წლის 12 აგვისტო.

2. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის", „მენეჯმენტისა" „ფინანსების" და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსშეჩერებული პირების (პირადი განცხადების, აკადემიური რეგისტრაციის ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის

გამო) 2018 წლის 31 ოქტომბერს აკრედიტირებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) სტუდენტებს, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული აქვთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მიეცეთ შესაძლებლობა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტატუსის აღდგენის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მათზე რიცხული ფინანსური დავალიანება დაფარონ 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად;

ბ) წინამდებარე ბრძანება გავრცელდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებზე, მათთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლისა.

3. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს:

ა) შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება;

ბ) შოდა მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

6. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**